

ინტერნეტ ოლიმპიადა 2014-2015

სამოქალაქო განათლება

II ტური

ინსტრუქცია

ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რა ეწოდება კლასთა თუ კატეგორიის მიხედვით ადამიანთა ჩაგვრას მათი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე?

- ა. ავილაცია
- ბ. ესკალაცია
- გ. პრეზუმფცია
- დ. ჰომოგენურობა
- ე. დისკრიმინაცია

2. რა ეწოდება უკიდურეს და უმიზეზო მხარდაჭერას იმ ჯგუფისა, რომელსაც მიეკუთვნება პიროვნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მხარდაჭერა გამოხატავს სიძულვილს კონკურენტის მიმართ?

- ა. დევალვაცია
- ბ. ანტაგონიზმი
- გ. შოვინიზმი
- დ. დისკრედიტაცია

3. ჩასვით წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა.

„ სისტემაში ყველაზე სუსტს ისეთივე შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს, როგორც ყველაზე ძლიერს.“

- ა. ავტორიტარულ
- ბ. სოციალისტურ
- გ. კონსერვატიულ
- დ. დემოკრატიულ

4. ვისი სიტყვებია: „ნებისმიერი ნაციის მომავალი პერსპექტივა შეიძლება შეფასდეს მისი ახალგაზრდობის დღევანდელი მდგომარეობით“ ?

- ა. ადოლფ ჰიტლერის
- ბ. ჯონ კენედის
- გ. ჯორჯ ვაშინგტონის
- დ. მარტინ ლუთერ კინგს

5. ვისი სიტყვებია: „განათლება თავისუფლების უფრო კარგი დამცველია, ვიდრე მუდმივი ჯარი“?

- ა. ედვარდ ევერეტის
- ბ. ჯორჯ აიტკენი
- გ. ადამ მანიკის
- დ. ვოლტერის
- ე. ჟან ჟაკ რუსოს

ინსტრუქცია

იპოვეთ შესაბამისობები. თითოეული დავალება ფასდება 3 ქულით.

6.

ტერმინი	განმარტებები
<p>1. სოციალიზმი 2. კაპიტალიზმი 3. ნეოლიბერალიზმი</p>	<p>ა. მიუთითებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფილოსოფიაზე, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ჩარევას (ინტერვენციას) ადგილობრივ ეკონომიკაში. ის ყურადღებას ამახვილებს თავისუფალ საბაზრო მეთოდებზე, საწარმოთა ფუქციონირებაში ნაკლებ შეზღუდვებსა და საკუთრების უფლებებზე.</p> <p>ბ. ეკონომიკური სისტემა, რომლის დროს წარმოების საშუალებები კერძო საკუთრებაშია და ფართოდ გამოიყენება დაქირავებული შრომა.</p> <p>გ. იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობას</p>

7.

ტერმინი	განმარტებები
1. ასიმილაცია 2. აფილაცია 3. პრეზუმფცია	ა. ახლო კონტაქტი, კავშირი. ბ. ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება. გ. საკუთარივით შეთვისება ან მიერთება. დ. გათავისება.

ინსტრუქცია

შეისწავლეთ მოცემული პლაკატი და დაწერეთ რას გადმოსცემს ის. დავალება ფასდება 3 ქულით.

8. რა იდეის გამომხატველია მოცემული პლაკატი?



9. რა იდეის გამომხატველია მოცემული პლაკატი?



10. რა იდეის გამომხატველია მოცემული პლაკატი?



